



## საქართველო - ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა

I შეხვედრა, 2016 წლის 16 ივნისი, თბილისი

### ერთობლივი განცხადება

საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა (სსპ) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შექმნილი ერთ-ერთი მექანიზმია. ორივე მხარეს მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათათვის ეს შეთანხმების მონიტორინგის შესაძლებლობაა. ამასთან, შესაბამის ხელისუფალთათვის რეკომენდაციების მომზადებაა გათვალისწინებული.

სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის I საინაუგურაციო შეხვედრა 2016 წლის 16 ივნისს, საქართველოში, ქ. თბილისში გაიმართა.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები:

1. მივესალმებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დროებით რეჟიმში ამოქმედებას და ველით მის სრულ ამოქმედებას 2016 წლის 1 ივლისიდან.

2. ვაცნობიერებთ ასოცირების პროცესის დაწყებიდან - დღემდე, საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს და ორივე მხარეს საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ვალდებულების შენარჩუნებისკენ მოვუწოდებთ;
3. აღვნიშნავთ ევროკავშირი - საქართველოს სავიზო დიალოგის წარმატებას, კერძოდ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროში შორსმიმავალ და რთულად განსახორციელებელ რეფორმებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც კანონის უზენაესობასა და იუსტიციას შეეხება;
4. მიუხედავად ამისა, სინანულით აღვნიშნავთ ევროკავშირის ახლახანს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელმაც, ქართული მხარის მიერ სავალდებულო მოთხოვნების შესრულების მიუხედავად, საქართველოსთან უვიზო-მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება შეაფერხა; მოვუწოდებთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, მხედველობაში მიიღონ საქართველოში საზოგადოებრივ აზრზე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზეგავლენა და მიიღონ იგი პირველი შესაძლებლობისთანავე;
5. ვაღიარებთ რა, საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს, საქართველოს მთავრობას მოვუწოდებთ გულდასმით იზრუნოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შემდგომი დაცვისთვის და უზრუნველყოს სასამართლოს, პროკურატურისა და სამართალდამცავი სტრუქტურების დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.
6. გვახსოვს რა, რომ მედიის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიგს მიეკუთვნება, საქართველოს მთავრობას დაჟინებით მოვუწოდებთ, თავისუფალი და პლურალისტური მედია გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ყველა აუცილებელ ზომას მიმართოს; ამასთან, აღვნიშნავთ, რომ ევროკავშირისკენ საქართველოს მისწრაფების დაკნინებასა და ევროკავშირისა და ევროპულ ღირებულებათა დისკრედიტაციაზე მიმართული მტრული პროპაგანდის პირობებში, მედიის განვითარების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, რათა სათანადო ტექნიკურ დონეზე აღჭურვილმა, შეძლოს

დამოუკიდებლად მოქმედება და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მაღალ დონეზე მიწოდება.

7. ვაღიარებთ რა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, დემოკრატიული განვითარებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან ქართული კანონმდებლობის დაახლოების მნიშვნელობას, მოვუწოდებთ საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებისა და მისი იმ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანისაკენ, რომლის პირობაც ვენეციის კომისიისა და ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის უახლეს ანგარიშებშია დაყენებული;
8. გამოვხატავთ ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში; ვინხენებთ რა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 2008 წელს ევროკავშირის შუამავლობით მიღებულ ექვსპუნქტიან შეთანხმებას, მოვითხოვთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიებისათვის, განსაკუთრებით კი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულ ხელმისაწვდომობას, რათა თავიდან იყოს აცილებული ნებისმიერი ფორმით ადამიანის უფლებების დარღვევები;
9. მოვუწოდებთ ასოცირების შეთანხმების ორივე მხარეს სათანადო მექანიზმების შექმნისაკენ, რომლებიც შეთანხმებით გათვალისწინებული სიკეთეების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს აფხაზეთისა, საქართველო და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის, საქართველო ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის; მხარეებმა დადონ პირობა, რომ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩართულობას უზრუნველყოფენ;
10. მივესალმებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ახლახანს მიღებულ რეზოლუციას (GA/11785), ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, დევნილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლების შესახებ, აფხაზეთსა, საქართველო და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის, საქართველო რეგიონში;
11. მივესალმებით სამხრევი დიალოგის განახლებას და საქართველოს მთავრობას საწარმოო ურთიერთობების ყველა საფეხურზე მისი განვრცობისა და შრომის კოდექსში

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი ცვლილებების მიღებისაკენ მოვუწოდებთ;

12. მივესალმებით რეფორმების პროცესს და მთლიანობაში, ასოცირების განრიგის შესრულების მონიტორინგში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობისა და მათგან რჩევების მიღების შესახებ საქართველოს მთავრობის განზრახვას, რაც ასოცირების პროცესის გამჭვირვალობასა და მასზე მფლობელობის განცდას უზრუნველყოფს; ამ თვალსაწიერიდან, მივესალმებით აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს შორის დადებულ მემორანდუმებს, რათა ასოცირების შეთანხმებით მხარდაჭერილ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ფართოდ ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი;
13. მივესალმებით ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს სამხედრო პერსონალის აქტიურ ჩართულობას და მოვუწოდებთ ევროკავშირის თაოსნობით მიმდინარე სამოქალაქო მისიებსა და ოპერაციებში ქართველ პროფესიონალთა გაზრდილი ჩართულობისაკენ;
14. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, ეფექტურად შეასრულოს ევროკავშირის “მცირე ბიზნესის აქტით” გათვალისწინებული პირობები და შეიმუშაოს და დანერგოს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის წარმატების ცხადი ნიშნულები;
15. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, მიღებულ სტრატეგიათა და საკანონმდებლო აქტთა თავსებადობის უზრუნველყოფისაკენ, რაც ასოცირების შეთანხმების ამოცანებითა და სულისკვეთებით იქნება ნაკარნახევი და სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ ეფექტურ განხორციელებას მიექცევა, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, მცირე და საშუალო საწარმოები, კვლევა და განვითარება, სტანდარტიზაცია, შრომითი ურთიერთობები და სხვა;
16. ვაღიარებთ სურსათის უვნებლობის რეფორმაში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს; ამის მიუხედავად, ვითვალისწინებთ რა, სოფლის მეურნეობის ადგილობრივ

წარმოებაზე ამ ნაბიჯთა შესაძლო გავლენას, საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ხელი შეუწყოს საკანონმდებლო დაახლოების პროცესის მცირე ფერმერთა საჭიროებების მიმართ ადაპტირებას, საუკეთესო ევროპულ გამოცდილებათა გათვალისწინებით, ;

17. მხარს ვუჭერთ ევროკავშირ - საქართველოს ბიზნესიდან - ბიზნესამდე კონტაქტების გაძლიერებასა და საქართველოში ბიზნეს საქმიანობების ინტერნაციონალიზაციას, განსაკუთრებით, ევროპულ ბიზნესებთან ურთიერთობების გაღრმავების საშუალებით;
18. მხარს ვუჭერთ ევროპის ენერგოთანამეგობრობასთან (თანამეგობრობა) საქართველოს მიერთებას და მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს წევრობისათვის სავალდებულო პირობების დროული შესრულება; ამასთან, ევროკავშირს თანამეგობრობასთან საქართველოს მიერთების საკითხის დადებითად გადაწყვეტისკენ მოვუწოდებთ;
19. ვიწვევთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რათა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებულ, გარემოსდაცვით ვალდებულებათა შესრულებას დააკვირდნენ და დამოუკიდებელი შეფასებები გააკეთონ; მეტიც, ვიწვევთ ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის, რათა ქვეყნის მიერ ნაკისრ გარემოსდაცვით რეგულაციათა წარმატებით განხორციელების გაზომვის ინდიკატორები შეიქმნას; ვიწვევთ ევროპის გარემოსდაცვის სააგენტოს, რათა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სათანადო გამოცდილება გაუზიაროს;
20. ვაღიარებთ რა, საქართველოს მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში კულტურის მნიშვნელობას, განსაკუთრებულად ვუსვამთ ხაზს ქვეყნის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დაფასების საჭიროებას და კულტურის მენეჯმენტის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილების მიღებამდე, კულტურის სფეროში ჩართულ ადგილობრივ მოქმედ პირთა აზრის გათვალისწინების მნიშვნელობას; მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებსა და საერთაშორისო შეთანხმებებით კულტურის სფეროში აღებული ვალდებულებები;

21. კულტურათაშორისი დიალოგის მხარდაჭერის, ცოდნის შექმნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარების მიზნით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, გააძლიერონ შრომის ევროპულ ბაზარზე მობილობის გაზრდის მცდელობები, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოებს შორის წერიული მიგრაციის თაობაზე ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით.
22. მოვუწოდებთ ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, მხარი დაუჭირონ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, საერთაშორისო პროგრამების აკრედიტების შესაძლებლობათა გაძლიერებითა და ხარისხის ერთობლივი პროგრამების განვითარებით.
23. მოვუწოდებთ ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 49-ე მუხლის შესაბამისად, აღიარონ საქართველოს ევროპული პერსპექტივა, რაც გაცხადებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე ევროპის პარლამენტის 2014 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციით;
24. შევახსენებთ, რომ პლატფორმა ინფორმირებული უნდა იყოს საქართველო - ევროკავშირის ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა შესახებ და ასოცირების საპარლამენტო კომიტეტისა და ასოცირების კომიტეტთან, მათ შორის სექტორულ ქვეკომიტეტებთან, რეგულარულ კონტაქტებს მოველით.

---